საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში - 2025

ტექნიკური რეგლამენტი

Georgian Championship

2025 GTCC – Technical Regulations

1. <u>**გენერალური.**</u>

1.1. ტექნიკური რეგლამენტი მოქმედებს 2025 სარბოლო სეზონზე.

1.2. ტექნიკური რეგლამენტი შედგენილია "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსის" მიხედვით და გათვალისწინებულია FIA-ს საერთაშორისო სპორტული კოდექსი და უსაფრთხოების სტანდარტები.

1.3. ყველაფერი, რაც ტექნიკური რეგლამენტით არ არის დაშვებული, აკრძალულია, შემდგომი ცვლილებების განხორციელებამდე და გამოქვეყნებამდე.

1.4. სადაო წარმოქმნილ სადაო საკითხს განიხილავს GASF-ის ტექნიკური, უსაფრთხოების და სპორტული კომისია.

2. განმარტებები.

2.1. **ძარა-** ლითონის ნაწილების ერთობლივობა, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია შედუღებით ან გადაბმის სხვა საშუალებებით, ქმნის ერთიან კონსტრუქციას და მინიჭებული აქვს ქარხნული საიდენტიფიკაციო ნომრი (VIN code-ი).

2.2. **ავტომობილის სალონი** - მწარმოებლის მიერ მძღოლის და მგზავრებისთვის გამოყოფილი სივრცე, იზოლირებული ძრავის და საბარგულის განყოფილების კედლით.

2.3. **ორიგინალი დეტალი** - ნაწილი, რომელიც გამოიყენება ავტომობილის მოდელის სერიულ წარმოებაში.

2.4. **არაქარხნული ანალოგი დეტალი** - დეტალი ქარხნული სერიული დეტალის იდენტური ფორმისა და ექსპლუატაციის მახასიათებლებით, დამზადებული სხვადასხვა მწარმოებლის მიერ.

3. <u>ავტორიზებული ავტომობილი.</u>

3.1. **BMW E90 და E92** (<u>**N52B30**</u> - ბენზინის ძრავის ყველა ქარხნული ვარიანტი 2996 cc მოცულობით) სერიის **უკანა წამყვანი ავტომობილები** ქარხნული VIN ნომრით, რომელიც იწყება WBA კოდით.

3.2. ჩემპიონატში მონაწილე ყველა ავტომობილისთვის **GASF**-ის მიერ გაცემული სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი სავალდებულოა.

4. ავტომობილის მინიმალური წონა.

4.1. ავტომობილის მინიმალური სარბოლო წონა რბოლის ნებისმიერ დროს (კვალიფიკაციის ჩათვლით) – 1400კგ მრბოლელის ჩათვლით (წინასწარი, საორიენტაციო წონა) **რეგულირდება დამატებითი გამოცემული დოკუმენტით, რბოლამდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე.**

5. კორპუსი (ძარა).

5.1. ძარა **-** უნდა იყოს ორიგინალი BMW (E90, E92).

5.2 საბაზისო მოდელის კორპუსის ექსტერიერი უნდა იყოს ქარხნული ან ანალოგ, დამზადებული სხვა მწარმოებლის მიერ.

6. ნაწილები, სამაგრები.

ავტომობილის ყველა ინტერიერის დეტალი რომელიც არ არის დაკავბშირებული ავტომობილის მართვასთან და არის ადვილად აალებადი, ექვემდებარება დემონტაჟს.

6.1. ავტომობილის სალონში დაშვებულია მხოლოდ:

- ცენტრალური დაფა (ინსტრუმენტების პანელი).
- სიჩქარეების გადამრთველის ქვედა დაფა - თავისუფალი.
- წინა ორივე კარის შიდა საფარი არაქარხნული, არააალებადი, არაბასრი და არამსხვრევადი მასალისგან დამზადებული). უკანა კარების შიდა საფარი - თავისუფალი.

6.2. **Firewall და იატაკი** - ორიგინალი.

6.3. **სათადარიგო დისკის განსათავსებელი კორპუსი** - ორიგინალი (მოჭრა, მოხსნა და გადაკეთება აკრძალულია).

6.4. **სახურავის პანელი** - ორიგინალი. ლუქის შემთხვევაში, ღიობი სავალდებულოა შეივსოს: თუნუქით, კარბონით ან სხვა ნახშირბადის ქსოვილით. მისი გადაბმულობის ადგილები უნდა იყოს სახურავის სიბრტყეზე. უნდა იყოს მყარად დამაგრებული.

6.5. **წინა და უკანა ფრთები -** დასაშვებია ფრთების შიდა კიდეების შეკეცვა იმ პირობით, რომ გარე ფორმა უცვლელი დარჩება.

6.6. **სავენტილაციო ღიობები და დიფუზორები სახურავის პანელზე** - აკრძალულია.

6.7. დასაშვებია კორპუსის გამაგრება, თუ ის არ ცვლის საბაზისო კონსტრუზქციას და არ ასუსტებს ძირითად ძარას.

6.8. **ძარის გამაძლიერებელები** – თავისუფალი.

6.9 **ინტერიერის სამაგრები** - ძარაზე შიდა დეტალები (სავარძლის სამაგრები, ელექტრო მოწყობილობის სამაგრები, სალონის ინტერიერის) დამჭერები და სამაგრები რომლებიც არ ქმნიან ერთობლიობაში ძარის სიმყარეს შესაძლებელია მისი დემონტაჟი ისე რომ ძარის კონსტრუქცია არ უნდა დაზიანდეს.

7. კარები, ძრავის საფარი და საბარგულის სახურავი, ბამპერები, წინა ფარები, გრილები.

7.1. წინა კარები - ორიგინალი.

7.2. Crash Box წინა და უკანა (ბამპერის ძელი) - ორიგინალი და სავალდებულო.

7.3. წინა კარის ფანჯრის ამწეები – ორიგინალი (მუშა მდგომარეობაში).

7.4. უკანა კარები – ორიგინალი (რეზინის გარეშე).

7.5. უკანა კარის ფანჯრის ამწეები - ორიგინალი (აწეულ მდგომარეობაში) შესაძლებელია ელ. ძრავის მოხსნა.

7.6. ყველა კარი უნდა იყოს გახსნადი როგორც ავტომობილის შიგნიდან, ასევე გარედან.

7.7. კარების ავტომოტური ჩაკეტვა ავტომობილის მოძრაობის დროს სავალდებულოა გაუქმდეს.
7.8 ძრავის საფარი და საბარგულის თავსახური (ჰიდრავლიკური ამწეების ჩათვლით) - ორიგინალი, **(ქარხნული თბოიზოლაცია სავალდებულოა მოიხსნას)**.
7.9. **ძრავის საფარის საკეტი -** ორიგინალი მოხსნილი, გაუქმებული. სავალდებულოა სპორტული ჩამკეტი - მინიმუმ ორი.
7.10. **წინა და უკანა ბამპები** - ორიგინალი ან ანალოგი (რომელიც განკუთვნილია მხოლოდ E90, E92 ისთვის).
7.11**. წინა ფარები** - ორიგინალი ან ანალოგი (მხოლოდ მსგავსი ორიგინალთან, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ E90, E92 ისთვის).
7.12. **წინა გრილები** (ზედა და ქვედა) – ორიგინალი ან ანალოგი (რომელიც განკუთვნილია მხოლოდ E90, E92 ისთვის) ასევე დაშვებულია თუნუქი/ალუმინი ბადის დამონტაჟება.
7.13. **მოლდინგები-** გვერდითა პანელები, ორიგინალი ან ანალოგი (რომელიც განკუთვნილია მხოლოდ E90, E92 ისთვის).
7.14 **საბუქსირე ქამარი** - წინ/უკან სავალდებულო, ქამარი უნდა იყოს ნათლად ხილული (შეღებილი ყვითელი, წითელი ან ნარინჯისფერი) და მკაფიო მანიშნებლით.
7.15 ძრავის და გადაცემათა კოლოფის განყოფილებაში არსებული თბოიზოლაცია - თავისუფალი.

8. ფანჯრები, საწმენდები, სარეცხი საშუალებები.

8.1. **წინა საქარე მინა** - ორიგინალი ან ანალოგი საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტის მიხედვით. მის გარე ზედაპირზე შეიძლება დამონტაჟდეს გამჭვირვალე უფერო ფირი.
8.2. ნებადართულია მზის ზოლის გამოყენება საქარე მინის ზედა კიდეზე, იმ პირობით, რომ ის ხელს არ შეუშლის მძღოლს მსაჯების სიგნალებისა და ნიშნების დანახვაში.
8.3. საქარე მინის საწმენდები - ორიგინალი ან ანალოგი.
8.4. მინის სარეცხი სისტემა - თავისუფალი.
8.5. გვერდითი მინები - ორიგინალი, სავალდებულოა გაეკრას უფერო დამცავი ფირი მრბოლელის მხარეს.
8.6. უკანა საქარე მინა - ორიგინალი ან ანალოგი.
8.7. აკრძალულია შუშების შეფერილობა.
8.8. ვენტილაციის გამო რბოლის დროს ნებადართულია წინა ფანჯრების გახსნა 1/5-ით.
8.9 გვერდითა ხედვის სარკეები - ორიგინალი ან ანალოგი (სხვა ფორმის აკრძალულია).
8.10. შიდა, უკანა ხედვის სარკე - თავისუფალი.

9. აეროდინამიკური და ძირის დამცავი ელემენტები.

9.1 აეროდინამიკური ელემენტები - ორიგინალი ან დუბლირებული ორიგინალის (მხოლოდ მსგავსი ფორმით და მონაცემებით).
9.2 ძირის დამცავები - ორიგინალი ან დუბლირებული ორიგინალის (მხოლოდ მსგავსი ფორმით და მონაცემებით).

10. ინტერიერი.

10.1 **საბარგული განყოფილება** - უნდა იყო იზოლირებული სალონისგან თუნუქის ან ალუმინის მასალით.
10.2. **ინსტრუმენტების დაფა** - ორიგინალი, შეიძლება დაემატოს დამატებითი საინფორმაციო დაფა, რომელიც არ უნდა უშლიდეს ხელს ხედვის არეს.
10.3. **ქვედა ინსტრუმენტების დაფის სამაგრი** - ორიგინალი.
10.4. **დამატებითი ინსტრუმენტები** (საზომი მოყობილობები, მრიცხველები, სენსორები, ლოგერები) - თავისუფალი, თუ ისინი არ აუმჯობესებენ ძრავის მუშაობას. ამასთან, აკრძალულია ძრავის შეზეთვისა და გაგრილების სისტემის მექანიკური ხელსაწყოების დაყენება.
10.5. **საყვირი** - თავისუფალი.
10.6. **ვიდეო კამერა** - სავალდებულოა 1 კამერის დამონტაჟება ჩემპიონატის ტექნიკური კომისრის მიმითებულ ლოკაციაზე.

10.7**. ელექტრო კვების წყარო** 12V - სავალდებულოა ინსტრუმენტების დაფაზე, სტანდარტული ან ანალოგიური ფორმის.

11. <u>ძრავი.</u>

11.1. ნებადართულია მხოლოდ ორიგინალი BMW N52B30 ძრავი.
11.2. ცილინდრის ბლოკი (მათ შორის ზეთის ავზი) - ორიგინალი.
11.3. ცილინდრის დიამეტრი 85მმ, დგუშის სვლა 88 - (მხოლოდ ორიგინალი).
11.4. **ამწე ლილვი** – ორიგინალი (დაუშვებელია წონის მოკლება ან რაიმე სახით ჩარევა).
11.5. **ამწე ლილვის შუასადებები და დგუშები** - ყველა თანმხლები კომპონენტით - ორიგინალი ან ანალოგი ქარხნული მონაცემებით.
11.6. ამწე ლილვის ძირითადი და საყრდენი შუასადებები - ორიგინალი ან ორიგინალის ანალოგი (მათ შორის, სარემონტო).
11.7 **ძრავის მქნევარა** - ორიგინალი ან ორიგინალის ანალოგი, დეტალის კოდი - 21 20 7 573 785, წონა - 10.3 კგ.
11.8. **ცილინდრის თავაკი -** ორიგინალი. დაუშვებელია ნებისმიერი შემშვები და გამშვები არხების გაფართოვება (პორტირება). ქვედა ზედაპირის დამუშავება დასაშვებია იმ პირობით, რომ შეინარჩუნოს ორიგინალური შეკუმშვის კოეფიციენტი ამ წესების **11.9** პუნქტის მიხედვით.
11.9. **შეკუმშვის კოეფიციენტი** – ორიგინალი (10.7:1).
11.10. **სარქველები და ზამბარები** - ორიგინალი.
11.11. **სარქვლის გიდრო ამძრავი** - ორიგინალი.
11.12**. აირის გამანაწილებელი ლილვი, ვანოსი და ვალვეტრონიკი** – ყველა თანმხლები კომპონენტით - ორიგინალი ან ანალოგი ქარხნული მონაცემებით.
11.13. **ძრავის ბალიშები და სამაგრები** - თავისუფალი, მაგრამ ძრავის ორიგინალური პოზიცია უნდა შენარჩუნდეს.
11.14. **შეზეთვის სისტემა** - ორიგინალი.
11.15. **გაგრილების სისტემა** - ორიგინალი ან ანალოგი (შიდა გათბობის ჩათვლით). შლანგები თავისუფალი. თერმოსტატი შეიძლება მოიხსნას ან შეიცვალოს სხვა მახასიათებლებით. ძრავის წყლის რადიატორზე შესაძლებელია გვერდითა პლასმასის კედლების ჩანაცვლება **ალუმინით** (რადიატორის ალუმინის ფიჭა უნდა იყოს ორიგინალი ან ანალოგი).

11.16. **ზეთის გაგრილების სისტემა** - ორიგინალი ან ანალოგი (გაგრილების სისტემის „გოჭის“ დაყენება არ არის სავალდებულო).



12 ძრავის საწვავი - ჰაერის მიწოდების სისტემა.

12.1. **ჰაერის ფილტრის ყუთი დიფუზორით** - ორიგინალი ან ანალოგი.12.2. **ჰაერის ფილტრი** - თავისუფალი.
12.3. **ჰაერის მიმღები ხაზები** (მილები, შლანგები) – ორიგინალი ან ანალოგი.
12.4. **ჰაერის ნაკადის მრიცხველი** - ორიგინალი.
12.5. **დროსელის კორპუსი** – ორიგინალი.
12.6. **ჰაერის შემშვები კოლექტორი** - ორიგინალი N52B30 ძრავის ერთი ან ორი ჰაერის გამანაწილებელი სარქველით (DISA). ორ სარქველიან კოლექტორზე **წინა სარქველის გაუქმება ნებადართულია.**
12.7. **ტურბო დამტენი** (კომპრესორი ან რაიმე სხვა სახის დამატებითი აღჭურვილობა, რომელიც აუმჯობესებს ან აძლიერებს ჰაერის ნაკადის მიწოდებას) **–** აკრძალულია.
12.8 . **ინჟექტორები** - ორიგინალი N52B30 ძრავისა.
12.9. **საწვავის სისტემა, ფილტრები და დამჭერი ავზი** - მხოლოდ ორიგინალი.
12.10. **საწვავის ტუმბო** - ორიგინალი ან ანალოგი. საწვავის ტუმბომ უნდა იმუშაოს მხოლოდ ძრავის მუშაობის დროს, გარდა გაშვების პროცესისა.
12.11. **საწვავის ავზი** - ორიგინალი.
12.12. **საწვავის ავზის ვენტილაციის სისტემა და დაბრუნების სარქველები** - ორიგინალი.
12.13**. საწვავი - ბენზინი -** ოქტანობა თავისუფალი**.**
12.14 **ბენზინის ტიპი** - მაქსიმუმ Ron 100.
12.15. **სპირტის შემცველობა საწვავში -** არა უმეტეს 10%.
12.16. **საწვავის წნევა** - არ უნდა აღემატებოდეს 5.1 ბარს, ძრავის მუშაობის ნებისმიერ ციკლში.

13. გამონაბოლქვის სისტემა.

13.1. **ძრავის ყველა გამონაბოლქვი აირი -** უნდა შევიდეს მთავარ მილებში და გამოვიდეს მილის ბოლოს.
13.2. გამონაბოლქვი მილის ბოლო უნდა განთავსდეს ავტომობილის უკანა მხარეს . გამონაბოლქვის დაბოლოება უნდა დასრულდეს ბამპერის ჭრილში და არ უნდა ცდებოდეს ავტომობილის უკიდურეს წერტილს.

13.3. **გამონაბოლქვის სისტემა** - ორიგინალი ან ანალოგი ორიგინალი კონფიგურაციით (მილები არ უნდა გასცდეს ორიგინალ ზომას).
ა). **სავალდებულოა ეყენოს შუა ნაწილის მაყუჩი** (არ უნდა იყოს გამოშიგნული ან გადაკეთებული ,მხოლოდ ორიგინალი კონფიგურაციით) **.**
ბ). **ბოლო ბაყუჩი თავისუფალი -** მაყუჩის ნაცვლად დაშვებულია მილის ჩადუღება იმგვარად, რომ არ დაირღვევა 13.2 მუხლი, არ უნდა აღემატებოდეს ორიგინალი მილის ზომას.



13.4**. კატალიზატორის ბუდე -** დაშვებულია კატალიზატორის გაუქმება იმგვარად რომ კატალიზატორის ბუდე უნდა შენარჩუნდეს ორიგინალ ზომებში, აკრძალულია კატალიზატორის ბუდეში მილების ჩადუღება.

14. ძრავის მართვა.

14.1. **ძრავის მართვის კომპიუტერი (ECU)** – ორიგინალი.
14.1 **პროგრამული უზრუნველყოფა** – თავისუფალი.
14.2. **ძრავის გაყვანილობა** - ორიგინალი.
14.3. **OBD კონექტორი** – ორიგინალი, სავალდებულოა იყოს მუშა მდგომარეობაში.
14.4. **ძრავის START (გამშვები) ღილაკი (IMMO მოდულის ჩათვლით)** – თავისუფალი.
14.5. **სენსორები** - ნებადართულია დამატებითი სენსორები, თუ ისინი არ აუმჯობესებენ ძრავის მუშაობას.
14.6. **AC (კლიმატის კონტროლის) ტუმბო, რადიატორის (მათ შორის საშრობი) მილები და შლანგები კედელამდე** - შეიძლება მოიხსნას. ამ მიზნით ნებადართულია უფრო მოკლე ღვედის და ანალოგი ღვედის დამჭიმვის გამოყენება.
14.7. **ლამბდა სენსორები** - თავისუფალი.
14.8. **ძრავის აალების კოჭა (ბაბინა)** - ორიგინალი. აალების სანთლები თავისუფალი.
14.9. **ძრავის ბრუნთა რიცხვი** – 7000 RPM.
14.10. **ძრავის დალუქვა -** ზეთის დაფის და ცილინდრის თავსახურის ორი შესაკრავი უნდა იყოს გახვრეტილი (2.0 მმ) ძრავის დალუქვის მიზნით. დალუქვა უნდა მოხდეს დიაგონალური პრინციპით.

15. სიჩქარეების გადაცემათა კოლოფი.

15.1. **გადაცემის ტიპი** - უკანა ამძრავი.
15.2. **გადაბმულობის ქურო და დისკი** - თავისუფალი (BMW 328 330 ორიგინალ ზომებში და კონფიგურაციით).
15.3. **გადაცემათა კოლოფი –** ორიგინალი, 6 სიჩქარიანი მექანიკა, საწვავის ტიპი - ბენზინი, ვარიანტი - GS6-17BG, GS6-37BZ.
15.4. **გადაცემათა კოლოფის მონტაჟი (სამაგრები და დაკიდების სისტემა)** - თავისუფალი, მაგრამ გადაცემათა კოლოფის ორიგინალური პოზიცია არ უნდა შეიცვალოს.
15.5. **გადაცემათა რიცხვი** - ორიგინალი.
15.6. **უკანა გადაცემა -** სავალდებულო.
15.7. **სიჩქარის გადართვის ბერკეტი** - თავისუფალი, მაგრამ გადაცემათა კოლოფის შეცვლა H უნდა შენარჩუნდეს.
15.8. **წამყვანი და ამძრავი დეტალები** - ორიგინალი.
15.9. **უკანა დიფერენციალი** - ორიგინალი, არაბლოკირებული.
15.10. **ძირითადი გადაცემათა რიცხვი** – 3,15 -დან 3,73- ჩათვლით.

16. <u>მუხრუჭის სისტემა.</u>

16.1. **სამუხრუჭე სისტემა** - ორიგინალი.
16.2. **სამუხრუჭე მაშუქი** - ორიგინალი (ან ანალოგი ქარხნული მონაცემებით).
16.3. **მუხრუჭის მთავარი ცილინდრი** - ორიგინალი.
16.4. **დაბლოკვის საწინააღმდეგო დამუხრუჭების სისტემა** - ორიგინალი.
16.5. **ABS** სენსორები - ორიგინალი ან ანალოგი ქარხნული მონაცემებით, უნდა იყოს შენარჩუნებული და დაკავშირებული გაყვანილობის წრეში.
16.6. **სამუხრუჭე დისკები (წინა და უკანა)** – ორიგინალი ან ანალოგი ქარხნული მონაცემებით,
    წინა - გარე დიამეტრით არაუმეტეს - 330 მმ
    უკანა - გარე დიამეტრით არაუმეტეს - 336 მმ.
    დაუშვებელია დახვრეტილი და დახაზული სამუხრუჭე დისკების მონტაჟი.
16.7. **სამუხრუჭე ხუნდები** - თავისუფალი (უნდა იყოს შენარჩუნებული ორიგინალი ზომა).
16.8. **ხელის მუხრუჭი** - ორიგინალი ან ანალოგი (მუშა მდგომარეობაში) გადაკეთების გარეშე.
16.9. **სამუხრუჭე ბალანსის რეგულირება** - აკრძალულია.
16.10. **სამუხრუჭე ხაზები** - მეტალის ორიგინალი მილები. არმირებული მილებით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დაბოლოებები, მუხრუჭის დგუშებთან.
16.11. **სამუხრუჭე სისტემის ჰაერით გაგრილება** – თავისუფალი. ამ მიზნით, ნებადართულია ნისლის შუქის

დიაფრაგმის გამოყენება წინა ბამპერში. უნდა შენარჩუნდეს ღიობების ორიგინალური ზომა და ვიზუალური მხარე.
16,12. **სამუხრუჭე სისტემის სითხე** - თავისუფალი.

17. საჭე

17.1. საჭე - თავისუფალი. ქარხნულის საჭის შემთხვევაში უსაფრთხოების ბალიში უნდა გაუქმდეს.
17.2. საჭის სწრაფმოხსნადი სისტემა - თავისუფალი.
17.3. საჭის მაბრუნებელი ლილვები და მათი მაკომპლექტებლები - ორიგინალი.
17.4. საჭის ჩამკეტი მექანიზმი - თავისუფალი.
17.5. საჭის პოზიციის რეგულირება - ორიგინალი.
17.6. საჭის ძირითადი მექანიზმი - ორიგინალი BMW E90/92 N52B30-ის ნებისმიერი ქარხნული ვარიანტი.
17.7. საჭის წევა და მისი დაბოლოება - ორიგინალი ან ანალოგი ქარხნული მონაცემებით.
17.7. გამაძლიერებელი (ტუმბო, ძრავა, გადაცემათა კოლოფი და სითხის ავზი) - ორიგინალი (BMW E90/92 N52B30-ის ნებისმიერი ქარხნული ვარიანტი). სითხის მილები თავისუფალი.
17.8. საჭის სითხის გაგრილების სისტემა – ორიგინალი.

18. დაკიდების სისტემა.

18.1. დაკიდების მუშაობის პრინციპი - ორიგინალი.
18.2. ბორბლების ბაზა - ორიგინალი.
18.3. უკანა ღერძის ზამბარის საყრდენები (Spring support) შეიძლება მოიხსნას თუ 18.4 პუნქტში აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს.
18.4**. ამორტიზატორები** - **MAXPEEDINGRODS**. ზამბარების სიხისტე - თავისუფალი.
18.5. **ამორტიზატორის ზედა სამაგრები (საკისრები)** – **MAXPEEDINGRODS**.
18.6. **საყრდენები (მათ შორის საკისრები, თავისი ჰაბებით)** - ორიგინალი.
18.7. **წინა და უკანა მკლავები (გიტარები)** – ორიგინალი ან ანალოგი. მათი რეზინის დეტალები - თავისუფალი.
დაშვებულია - ქვედა სწორი მკლავის (გიტარის) ჩანაცვლება **BMW M3/M4 F80/82** გიტარის დაყენება (დეტალის კოდი: 31 12 2 284 530 მარჯვენა, 31 12 2 284 529 მარცხენა) - ორიგინალი ან ანალოგი. რეკომენდირებულია ორიგინალი მკლავის (გიტარის) დაყენება.

18.8. მოხვევის სტაბილიზატორი ზოლი და მათი შეერთება საკიდთან (წნელები, რეზინი) – ორიგინალი. წინა ზოლის ზომა (ზომები უნდა გაკეთდეს მონიშნულ ადგილებში) – 23,5 მმ, უკანა ზოლის ზომა – 14,0 მმ.



18.9. **დაკიდების სახსრები** (რეზინი, საკისრები) – თავისუფალი (უკანა ამორტიზატორების ქვედა რეზინის ჩათვლით).
18.10. **ძირითადი ჯვრის** (ტრავერსი) და მისი ნაწილები - თავისუფალი.
18.11. **დაკიდების სამონტაჟო წერტილები** - ორიგინალი, მაგრამ შეიძლება გაძლიერდეს იმავე ფორმის მასალის დამატებით.
18.12. **მიწის კლირენსი** - ავტომობილის ძირის ყველაზე დაბალი წერტილი მიწის ზედაპირიდან მინიმუმ 10 სმ.

19. საბურავი.

19.1. **ფრთები** (ძარის) მთლიანად უნდა ფარავდეს საბურავებს ზემოდან.



19.2. **დისკები** - დაშვებულია მხოლოდ BMW-ს ქარხნის მიერ წარმოებული ნებისმიერი სტილის დისკი, **დიამეტრი** – R17, მაქსიმალური სიგანე - 8.5J, მინიმალური წონა – 9 კგ. დასაშვებია დისკის შუასადებების (Spacers) გამოყენება იმგვარად, რომ არ დაირღვევა ამ მუხლის 19.1 პუნტქი. ასევე დასაშვებია დაგრძელებული ჭანჭიკების (Racing

Studs) გამოყენება. უსაფრთხოების მიზნით სასურველია შუასადებებიც და ჭანჭიკებიც იყოს ბრენდირებული მაღალი ხარისხის.

19.3. **საბურავები** - ZESTINO GREDGE 07R - ნახევრად სლიკი, მედიუმი. ცვეთადობის კოეფიციენტი (TREADWEAR- 240A).

19.4. **საბურავის ზომა** – 235/40 R17.

19.5. **საბურავის წნევის საზომი გარე მოწყობილობა** - დაუშვებელია სენსორები (საბურავის ტემპერატურა, საბურავის წნევა და ა.შ.).

20. <u>განათება და ელექტრომოწყობილობა.</u>

20.1. **ავტომობილის ქარხნული მაშუქები ან ანალოგი** უნდა იყოს მუშა მდომარეობაში.

20.2. **ძრავის ელექტრო ალტერნატორი** - ორიგინალი ან ანალოგი.

20.3. **ძრავის ამძრავი (სტარტერი)** - ორიგინალი ან ანალოგი.

20.4. **აკუმულატორი** - ბრენდი თავისუფალი, ადგილმდებარეობა ქარხნული ან საბარგულში სალონის უსაფროების ტიხარის უკან სპეციალურად გამზადებული სამაგრით (დაუშვებელია სათადარიგო საბურავის ადგილზე განთავსება).

აკუმულატორის სამაგრის ნიმუში: (სამაგრი უნდა იყოს გვერდების დამჭერით და ორი სარტყელით). შესაძლებელია მსგავსი პარამეტრებით თქვენს ავტომობილზე მორგებული.

20.5. **ელექტრო გაყვანილობა** - ორიგინალი, ნებადართულია უფუნქციო ბლოკების და გაყვანილობის მოხსნა.

21. ელექტროობის <u>საერთო გამომრთველი.</u>

21.1. საერთო გამომრთველი (მასის გამთიში) - სავალდებულოა, ავტომობილის ელექტროობის სრული გამორთვა (მათ შორის ძრავის ჩაქრობა) უნდა ხორციელდებოდეს მოწყობილობის მოქმედებაში მოყვანისთანავე, როგორც მრბოლელის მიერ სალონიდან, ასევე მარშლის მიერ გარედან.

21.2 სალონში გამომრთველი განთავსებული უნდა იყოს ისე, რომ ღვედებშეკრული მრბოლელისთვის მისი

გამორთვა იყოს ხელმისაწვდომი, ხოლო გარე გამომრთველი განთავსებული უნდა იყოს წინა საქარე მინის მარჯვენა ქვედა კუთხეში მონიშნული სპეციალური მაჩვენებლით.

21. გაყვანილობა - ელექტრო სქემები და მილები.

21.1. გამაგრილებელი წყლის (სითხის) ან საპოხი ზეთის შემცველი ნებისმიერი ხაზი უნდა იყოს სალონის გარეთ.
21.2. იმ ადგილებში, სადაც ხაზები ან მავთულები გადის ხვრელებში, ხვრელის კიდეები უნდა იყოს დაფარული დამცავი მასალებით.
21.3. არანაირი დამატებითი გაყვანილობა, არ უნდა გადიოდეს საბურავის თაღში.

22. <u>უსაფრთხოების კარკასი.</u>

22.1. უსაფრთხოების კარკასი სავალდებულოა.
ომოლოგირებული FIA ან GASF-ის სტანდარტით appendix J art 253 მოთხოვნების შესაბამისად.

22.2. **უსაფრთხოების კარკასის ფოტო:**



22.3. სურათზე წითლად მონიშნულ ადგილებზე სავალდებულოა განთავსდეს უსაფრთხოების FIA 8857-2001 სტანდარტის საფენი, საფენი მჭიდროდ უნდა იყოს დამაგრებული უსაფრთხოების კარკასის მილზე.



23. უსაფრთხოება, სავარძლები და მძღოლის აღჭურვილობა.

23.1. **უსაფრთხოების ღვედი -** ექვს წერტილიანი, FIA 8853-1998, FIA 8853-2016 სტანდარტი .
ინსტალაცია და გამოყენება FIA J art 253 - 6.2 / 6.3 შესაბამისად **(იხილეთ ბმული).**
დაუშვებელია არაომოლოგირებული ღვედების გამოყენება.

23.2. **ღვედის საჭრელი** - სავალდებულოა. ის განთავსებული უნდა იყოს ისე, რომ ღვედებშეკრული მრბოლელისთვის იყოს ხელმისაწვდომი **.**

23.3. **სავარძელი -** გამოყენებული უნდა იყოს დაუზიანებელი. FIA 8855-1999, 8855-2021, 8862-2009 სტანდარტების შესაბამისად. ინსტალაცია და გამოყენება FIA J art 253 - 16 **(იხილეთ ბმული).**

23.4. **მრბოლელის აღჭურვილობა.** გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტების ტანსაცმელი - კომბინი ზონი: **FIA** 8856-2000 *(2025). **FIA** 8856-2018. **ამერიკული სტანდარტი: SFI** 3.2/A5, **SFI** 3.2/A10, **SFI** 3.2/A15, **SFI** 3.2/A20, **SFI** 3.4/5.
პერანგი, შარვალი, წინდები, ბალაკლავი, ფეხსაცმელი **SFI** 3.3/5, ხელთათმანები: **FIA** 8856-2000 *(2025). **FIA** 8856-2018. **ამერიკული სტანდარტი: SFI** 3.3/5, **SFI** 3.3/10, **SFI** 3.3/15, **SFI** 3.3/20 **(იხილეთ ბმული).**

გამოშვების თარიღიდან არ უნდა იყოს 15 წელზე მეტი (მინ 2010 წლიდან მხოლოდ).
განმარტება: * 2025 ნიშნავს რომ დაშვებულია მხოლოდ 2025 -ში, 2026 -იდან მხოლოდ ომოლოგaციის ვადის მქონე სამოსი და აღჭყრვილობა.

23.5. **ჩაფხუტი** - მხოლოდ დახურული, გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სტანდარტები:
ამერიკული **SFI** 31.2A (მხოლოდ). **SNELL** SA2015 / SA2020. **FIA** 8860-2010, **FIA** 8859-2015, **FIA** 8860-2018, **FIA** 8859-2024.
ნებისმიერი დამატებითი მოწყობილობა (კამერები, კამერის დამჭერები) - აკრძალულია. **(იხილეთ ბმული).**
შენიშვნა: გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ზემოაღნიშნული სტანდარტის ჩაფხუტს (მაგალითად SA2015 ან სხვა) არ ქონდეს გათვალისწინებული ქარხნული ხვრელები ჰანსის სამაგრებისათვის. ამ შემთხვევაში, ყოვლად დაუშვებელია ჩაფხუტის კუსტარულად დახვრეტა და სამაგრების დამონტაჟება.

23.6. **კისრის დამცავი** (HANS, HYBRID), გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სტანდარტები: **FIA** 8858-2002, **FIA** 8858-2010, **ამერიკული:** SFI 38.1 **(იხილეთ ბმული).**

23.7 **უსაფრთხოების ბადე** - მძღოლის მხარეს სავალდებულოა, უსაფრთხოების ბადე (Racing Safety Net).

24. ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა.

24.1. **ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები** - რეკომენდებულია (სავალდებულო არ არის) ინსტალაცია FIA J 253 - 7.2 მიხედვით **(იხილეთ ბმული).**

24.2. **მექანიკური ცეცხლმაქრი** - სავალდებულოა (მინიმუმ 2 კგ), თუ ავტომობილში არ არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. მექანიკური ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი მძღოლისთვის. ინსტალაცია FIA J art 253 - 7.3 შესაბამისად.

25 ავტომობილის დიზაინი რეკლამა.

25.1 სარეკლამო ადგილი - სავალდებულოა.

გამოქვეყნდება დამატებით ბიულეტენით.

გთხოვთ გაითალისწინოთ რომ ტექნიკური რეგლამენტი არის წინასწარი და რბოლამდე შესაძლოა იყოს გარკვეული ცვლილებები.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია 2025წ.

www.gasf.co www.gasf.ge Facebook: www.facebook.com/gasfofficial

EMAIL: info@gasf.co